პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 მარტი ხუთშაბათი 1970 წელი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 53 (14657)

 კომუნიზმი იწყება იქ, სადაც ვლინდება რიგითი მუშების თავდადებული, მძიმე შრომის დამძლევი ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, თვითთეული ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინისა და სხვა პროდუქტების დაცვისათვის"...

ვ. ი. ლენინი

ნაკლები დანახარჯებით — მეტი პროდუქცია

მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის საწარმოთა მაგალითი

ამ დღეებში ჩვენი დიადი ქვეყნის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები გულდასმით განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ" და მოსკოვისა და ლენინგრადის მთელი რიგი საწარმოების მსგავსად თავიანთ კრებაზე საქმიანი საუბარი გამართეს საწარმოს ტექნიკური სრულყოფის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ნაკლები მუშახელით მეტი ნაწარმის გამოშვების საკითხებზე. შიგა რეზერვების ამოქმედების ძირითად პირობად მათ ახალი ტექნიკის, მოწინავეთა გამოცდილების და პირადი პასუხისმგებლობის ურთიერთშეერწყმა მიიჩნიეთ.

მივცეთ სამშობლოს მეტი და მაღალხარისხოვანი ნაწარმი — ასეთ მოწოდებას თბილისის კერამიკული კომბინატის თითქმის ყველა უბანზე შეეხვდებით. და ამ სიტყვას პირნათლად ასრულებენ საწარმოს მშრომელები. წლიდან წლამდე ჩვენი მშენებლობებისათვის მეტად საჭირო ნაწარმის — მოსაპირკეთებელი ფილების გამოშვებას. მაგრამ პარალელურად ამისა სახალხო მეურნეობას უგზავნიან ნახევრადფაიფურის სანტექნიკურ ნაწარმს, მოსახლეობას — მაღალხატვრულად შესრულებულ კერამიკულ ჭურჭელს.

თბილისელი კერამიკოსების რენტაბელურ შრომას აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც საყოველთაო ყურადღების ღირსია. საწარმოს ეფექტურობის ზრდას აქაურმა შრომელებმა, საწარმოო ფართობის გაუდიდებლად მიაღწიეს. წლიდან წლამდე სრულიყოფდნენ საწარმოო პროცესების ტექნოლოგიას, ნერგავდნენ ახალ ტექნიკას, ამალლებდნენ მუშათა კვალიფიკაციას, მასობრივს ხდიდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას.

ხისტემატური ღონისძიებების განხორციელებით კერამიკოსებმა მარტო მიმდინარე ხუთწლედში თითქმის ერთიოორად აამაღლეს შრომის ნაყოფიერება და გაუმჯობესეს პროდუქციის ხარისხი, ითვისეს ახალი ნაწარმის გამოშვება, მინიმუმამდე დაიყვანეს წუნი.

ამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე კომბინატში საწარმოო ბაზის გაფართოებისათვის, შეიძლება ითქვას, ერთი კაპიკიც არ დახარჯულა, პროდუქციის გამოშვება კი ბევრად გაიზარდა; მარტო ის ფაქტიც გვიჩვენებს კომბინატის კოლექტივის შრომის სწორ მიმართულებას, რომელსაც პროგრესისაკენ მივყავართ. სამაგიეროდ აქ ბევრი სხვა ცვლილება მოხდა; მაგალითად, მასის დამამზადებელ საამქროში წნეხ-ფქვილის დამზადება ერთ-ერთი შრომატევად სამუშაოდ ითვლებოდა. ამ უბნის კოლექტივს ხელით შრომა საშუალებას არ აძლევდა მაღალი შრომის ნაყოფიერებისათვის მიეღწია. მაგრამ აი ეს მძიმე სამუშაო მალე მექანიზებული გახდა, წნეხ-ფქვილის დამზადების ტექნოლოგიაც ძირეულად გადახალისდა, მძიმე შრომისაგან გამოთავისუფლდა 11 კაცი (ისინი სხვა სამუშაოზე გამოიყენეს), ამასთან საჭირო აღარ გახდა ოთხი ძველი დანადგარის არსებობა.

რა ეფექტი გამოიღო ამან?

გარდა იმისა, რომ დაიზოგა მუშახელი, შემცირდა ელექტროენერგიისა და საწვავი მასალების ხარჯი, გაუმჯობესდა პროდუქციის გამოშვებისათვის საჭირო ხეზვარფაბრიკატის ხარისხი, მინიმუმამდე შეცირდა წუნი და შვიდი პროცენტით ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

მეორე მაგალითი: ფილების წარმოებაში ამუშავდა ორი ნაკადური ხაზი. ეს არის დიდი წარმადობის დანადგარები, რომლებიც ტექნოლოგიური თვალსაზრისითაც მეტად მაღალფექტურია. რადიაციული საშრობების გამოყენებით დაჩქარდა შრობის პროცესი, გაუმჯობესდა ხარისხი, ამასთან მთელი ოპერაცია წნეხ-ფქვილის მიღებიდან ფილების დაწნეხვამდე და გაშრობამდე მექანიზებული გახდა, თუ ალარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ამ სიახლემ საწარმოს რამდენიმე მუშახელი დაუზოგა.

იმავე ფილების წარმოებაში საამქროს უფროსის ინჟინერ კ. ტოგონიძის წინადადებით დაინერგა პირველადი ფილების გამოწვის, დახარისხების, მოწოდებისა და მოჭიქურების სრული მექანიზაცია. ამ ღონისძიებებმა საამქროს საშუალება მისცა ცვლანახევარში შეასრულოს იმაზე მეტი მოცულობის სამუშაო, რამდენსაც მანამდე სამ ცვლაში ასრულებდა. ამით ამ უბანზე 5 პროცენტით ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

კიდევ მეტი: ნახევრადფაიფურის წარმოებაში ამჟამად მექანიზებულია შიდასატრანსპორტო სამუშაოები, გაუმჯობესდა ნაწარმის დაულობების ტექნოლოგია, ავტომატურად მიმდინარეობს ფასის ჩამოსხმა, თაბაშირის ფორმების ბასის შევსება. გაუმჯობესდა ნაწარმის კონსტრუქცია, ითვისებულ იქნა პროდუქციის ახალი სახეობანი, რომლებიც უფრო პრაქტიკულია და მოწონებით სარგებლობს.

რა საჩვენებლობა მოუტანა ყოველივე ამან საწარმოს კოლექტივს?

როგორც უკვე ვთქვით, იმავე საწარმოო ფართობზე მანქანა-დანადგარების რაოდენობის გაუდიდებლად (ზოგიერთ უბანზე ამ დანადგართა რიცხვი შემცირდა კიდეც) მიმდინარე ხუთწლედში მოსაპირკეთებელი ფილების გამოშვება 40 ათასი კვადრატული მეტრით გაიზარდა, ჭოგებამ ათასობით მანეთი შეადგინა, ზეგებგმითი დაბრუნებით გამდიდრდა სტიმულირების ფონდები, რომლებიც კვლავ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ღონისძიებებს ხმარდება, უმჯობესდება მუშა-მოსამსახურეთა შრომის, დასვენების პირობები. მარტო მიმდინარე ხუთწლედში კომბინატის მშრომელთა 135 ოჯახმა იზეიმა ახალმოსახლეობა, 4 საცხოვრებელი სახლი სწორედ საწარმოს კოლექტივის რენტაბელური შრომის ნაყოფია იყო.

საწარმო დიდ ყურადღებას აქცევს მხატვრული კერამიკული ნაწარმის გამოშვებასაც. კომბინატის მხატვრული კერამიკული ნაწარმი ამჟამად მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგას. ამის ნათელი დადასტურებაა ბევრ საერთაშორისო გამოფენებზე მიღებული მაღალი შეფასება, რაც კომბინატის მხატვარ-მოდელიერთა, შემსრულებელთა ხელით დამზადებულმა ნაწარმმა დაიმსახურა. იზმირი, ალეური, მონრეალი, პოზნანი, სად არ ყოფილა ექსპონირებული ქართული კერამიკული ჭურჭელი, სუვენირები... 80 დასახელების ასეთი ნაწარმი გამოდის კომბინატის კერამიკული საამქროდან. აქედან 50 აქ მომდინარე ხუთწლედში აითვისეს.

ყოველივე ეს ითქვა გუშინ კომბინატში გამართულ კრებაზე. კრებამ მხარი დაუჭირეს მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის სანრეფუბლიკო საწარმოთა კოლექტივების ინიციატივას. როგორც ცნობილია ამ საწარმოებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი, რომელიც მოუწოდებს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, მთელ საბჭოთა მშრომელებს. უფრო გაუმჯობესონ სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენება, გააძლიერონ მომჭირნეობის რეჟიმი. კომბინატის კოლექტივმა ერთსულოვნად გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს მაღალეფექტური შრომისათვის ლაშქრობას და ჩაებას ამ შეჯიბრებაში.

— ჩვენ გამოვალენთ, ავამოქმედებთ და გამოვიყენებთ ყველა არსებულ რეზერვს, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, მომჭირნეობით ვხარჯოთ ნედლეული და მასალები, ვიბრძოლებთ ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოებაში დანერგავთ თანამედროვე ტექნოლოგიას. გავიზიარებთ მოწინავეთა გამოცდილებას, მივაღწევთ იმას, რომ არსებული საწარმოო ფართობიდან გაუდიდებლად, ნაკლები მუშახელით, შრომის მცირე დანახარჯებით უახლოეს ხანში ერთიორად გაზარდოთ პროდუქციის გამოშვება.— თქვა კრებაზე საწარმოს დირექტორმა ვ. ურუშაძემ. —პარტია და მთავრობა დიდ ზრუნვას იჩენენ მშრომელთა კეთილდღეობისათვის. ჩვენ მოვალე ვართ ამ ზრუნვას საქმით ვუპასუხოთ, ვაჩვენოთ შრომის შესანიშნავი მაგალითი.

— მაღალეფექტური შრომისათვის ლაშქრობაში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან საწარმოს კომუნისტებმა, — აღნიშნა პარტბიუროს მდივანმა ი. ბოგოსაშვილმა, — ჩვენი კოლექტივი კომუნისტური შრომის საპატიო სახელს ატარებს, ამიტომ უფლება არა გვაქვს სხვებს ჩამოვრჩეთ. ჩვენი ადგილი დღეს მოწინავეთა რიგებშია და ვეცადოთ საიუბილეო წელსაც არავის დავუთმოთ იგი, ღირსეულად შეეგებოდეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

თავიანთ უბნებზე შრომის უკეთესი ორგანიზაციის შესახებ ილაპარაკეს ხაგამოწვეული საამქროს უფროსმა მ. კაპკაპიშვილმა, მექანიკური საამქროს უფროსმა პ. ქიკოვმა, მხატვარმა-შემსრულებელმა მ. აბუთიძემ. მათ პირობა დადეს, რომ საამქროთა კოლექტივები პირნათლად შეასრულებენ ახალ ვალდებულებებს.

ვალდებულებებით გათვალისწინებული ღონისძიებებიკი, როგორც ამ საამქროებში, ისე მთლიანად კომბინატში საკმაოდ ბევრია. კერამიკოსები ხუთწლედის დავალების შესრულებას 7 ნოემბრისათვის კისრულობენ. ვალდებულებათა ოქმში ნათქვამია: 1970 წელს ბეგმის ბაღამდე 20 ათასი კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები, 5 ათასი მანეთის მხატვრული კერამიკის ნაწარმი, „ბეგმასთან შედარებით 1,5 პროცენტით აჭაბალლოთ შრომის ნაყოფიერება, 1 პროცენტით შევამციროთ პროდუქციის თვითღირებულება, ავითვისოთ 15 ახალი სახეობის მხატვრული კერამიკის, და 2 სახეობის საამქროებლო ნახევარ ფაბრიკატების გამოშვება. დაზოგოთ 40 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია! 150 ათასი კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავზე ვიმუშაოთ დაზოგილი ნედლეულითა და მასალებით.

თუ როგორ მიაღწევენ ყოველივეს კერამიკოსები, ამის შესახებ კრებაზე ილაპარაკა კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ს. ჯიჯიძემ.

— ჩვენი მუშობის ძირითადი მიმართულება კვლავ ტექნიკური პროგრესი იქნება, — თქვა მან, — მოკლე ხანში ჩამოსხმული სამკრეხი მექანიზებული გახდება ხეზვარფაბრიკატების გადაზიდვა, ფილების საამქროში განხორციელდება ფილების დახარისხების მექანიზაცია, წარმოებაში დაინერგება 12 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთა ეკონომიური ეფექტი 17 ათას მანეთს გადაამეტებს. კვლავაც განვამტკიცებთ საწარმოო დისციპლინას, ვიბრძოლებთ არსებულ სიმძლავრეთა და სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

ამჟამად შემუშავების პროცესშია კომბინატის რეკონსტრუქციის პროექტი. როცა ამასაც გავაკეთებთ, გაფართოვდება სასაწყობო მეურნეობა, მთლიანად ავტომატიზებული გახდება ეს უბანი, საამქროებში ბევრი ახალი მანქანა დადგმება, რაც საშუალებას მოგვცემს მოსაპირკეთებელი ფილების გამოშვება 450 ათასი კვადრატული მეტრიდან 750 ათას კვადრატულ მეტრამდე გავზარდოთ, გამოვუშვათ 600 ათასი მანეთით მეტი ღირებულების მხატვრული კერამიკის ნაწარმი, ვიდრე დღეს ვუშვებთ.

კერამიკოსებმა კრებაზე პირობა დადეს, რომ სოციალისტური შეჯიბრების გაშლით, არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა გაუდიდებლად მაღალ ნაყოფიერებას, გამოავლინებენ საწარმოო რეზერვებს და ეკონომიური რეჟიმის განხორციელებით მეტ ეფექტს მისცემენ თავიანთ საქმიანობას ხუთწლედის გადამწყვეტ წელს.

ზ. ჯამასაპიშვილი,
რ. ჭელიძე.



სურათებზე: თბილისის კერამიკული კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კრება. სიტყვას ამბობს საწარმოს დირექტორი ვ. ურუშაძე.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა.

ავამაღლოთ საწარმოთა ეფექტურობა, სრულად გამოვიყენოთ რეზერვები

თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივმა გუშინ გამართულ კრებაზე განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილი „სახალხო მეურნეობაში წარმოების რეზერვების გამოყენების გაუმჯობესებისა და მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების შესახებ"

სტალინის სახელობის ქარხანა, ბოლო ხანებში ეფექტურობის ამაღლებისა და ნაკლები ხარჯებით მეტი პროდუქციის გამოშვების ინიციატორი, ამ ზამთარ-გაზაფხულ-ზაფხულ-ფაფუ-ფაფუ-ფაფუ

ეძღვნება ბელადს

სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია

8 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა, — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალმა და საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა მოიწვიეს სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია, რომელიც შეეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს. კონფერენციის თემაა: „კადრების შერჩევა, განწყობილება და აღზრდა მთავარია პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში". კონფერენციაში მონაწილეობდნენ პარტიული მუშაკები, ძველი ბოლშევიკები, მეცნიერები.

მოხსენება „ვ. ი. ლენინი — ახალი ტიპის პროლეტარული პარტიის შემქმნელი" წაიკითხა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვ. ფავნიამ.

„კადრების შერჩევა და განწყობილების ლენინური პრინციპები" — ასეთი იყო საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივნის ვ. ანდრონიკაშვილის მოხსენების თემა.

„კადრების აღზრდის ლენინური პრინციპები". ამ საკითხს მიუძღვნა მოხსენება საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის ბიუროს მდივანმა მ. დანელიამ.

მოხსენება თემაზე „შესრულების შემოწმება უმნიშვნელოვანესი რგოლია პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებში" წაიკითხა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველმა მდივანმა ხ. რიგვავამ. (საქდესი).

□ □

კონფერენციის თემა: „პარტიული მუშაობის ლენინური სტილი"

თელავი. (საკ. კორ.). პარტიის თელავის რაიკომმა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტთან ერთად ქ. თელავში გამართა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „პარტიული მუშაობის ლენინური სტილი". კონფერენციას ესწრებოდნენ ნინოწმინდის საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკის, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის შ. თეთვაძის მოხსენება „მასებთან მჭიდრო კავშირი და კოლექტიურობა პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია".

მოხსენებათა ირგვლივ გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სექტორის გამგე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი გ. ფავნია.

□ □

მეცნიერები ეწვივნენ რაიონს

სამეცნიერო სესია გეგეჭკორში

□

ორ დღეს მიმდინარეობდა პარტიის გეგეჭკორის რაიკომის სხდომათა დარბაზში საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოებისა და გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გაერთიანებული სესია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი.

სესიის მუშაობაში რესპუბლიკის გამოჩენილ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები, ასპირანტები და მომხსენებლები გეგეჭკორის რაიონიდან.

სესია გახსნა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა **გ. ჩიტაიამ.** მოსმენილ იქნა მოხსენებები: პროფ. ა. კიკვიძე — „ნაციონალური საკითხი და ქართველი სოციალ-დემოკრატები", პროფ. მ. ჩიქოვანი — „ვ. ი. ლენინი ქართველ მოღვაწეთა ფოლკლორში", პროფ. ვ. ბარდაველიძე — „ქართველი მოიერალი ულიანეს სარწმუნოების ისტორიიდან (ტაძარი და აკლდამა)".

სესიაზე დამსწრეთ ჟყონდიდელისა და მისი როლის შესახებ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მოუთხრო პროფ. კ. გრიგოლიამ, ხოლო პროფ. ლ. ბუმბაძემ მსმენელთა გააცნო კოლხური საცხოვრებლის უძველესი ტიპები. პროფ. ზ. ძველაიამ ილუსტრაციათ როგორ ფასობდა ვ. ი. ლენინი ბუნებისმეტყველებას საერთოდ და მის ერთ-ერთ დარგს გეოლოგიას. აკად. **გ. ჩიტაიამ** აუდიტორიას გადაუშალა ერთი ფურცელი ქართველოლოგიის ისტორიიდან. ასპ. **ნ. ჩიბოლარიამ** მოხსენება — „სოციალური ფსიქოლოგიის საგანი და მისი კვლევის შედეგების გამოყენებითი მნიშვნელობა" და გეგეჭკორის რაიონის ექიმის **ფ. გაბისონიას** მოხსენება „ხალხური მკურნალობისა და ფამალთმცოდნეობის შესახებ".

საყურადღებო მოხსენებები წარმოადგინეს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატებმა: **რ. ფუთურიძემ** (ვანის არქეოლოგიური გათხრები), **გ. გრიგოლიამ** (ძველი კოლხეთის ერთი ტაძონიძის ლოკალიზაციისათვის) და სხვ.

დამსწრეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტების შ. შუკვანის, ი. კვეხელავის, გეგეჭკორის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის ბიბლიოთეკარ ნინოს ი. ელიავას, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის **გ. ელიავას,** მუზეუმის მეცნიერი მუშაკის **გ. ფარულავას** მოხსენებებმა.

ლ. ფულარიანი.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძალა

ბატონიდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის **ბ. მორკვილაძის** ნაშრომი „საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნა და განმტკიცება საქართველოში (1921-1936)".

შრომაში მეცნიერულად გამოკვლეულია და თეორიულად განზოგადებულია საბჭოთა საქართველოს სუვერენული ეროვნული სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების შექმნის, პირველი საბჭოთა კონსტიტუციის მიღების, საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნისა და განმტკიცების ისტორია. მკითხველი ინტერესით გაეცნობა ვ. ი. ლენინის ფასდაუდებელ როლს ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის, ქართველი ხალხის ეროვნული სუვერენიტეტის დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

წიგნში გაშუქებულია საბჭოთა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის ისტორია დაწყებული მეორე მსოფლიო ომამდე. ავტორი ნაჩვენებია მეშვიკური მთავრობის ანტახალხური საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხები, მოცემულია ბერკენოვის კონტრრევოლუციური პარტიების დახასიათება და ამ პარტიების ბოროტი საქმეები.

ავტორი დამაჯერებლად გადმოგვცემს მენშევიკური მთავრობის დამხობის ისტორიულ კანონზომიერებას და იმის აუცილებლობას, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა რუსეთის ინტერნაციონალურ დახმარებას კონტრრევოლუციური მმართველობისაგან საქართველოს მშრომელების განთავისუფლებაში.

წიგნში ყოველმხრივ დასაბუთებულია, რომ თვითეული სახელმწიფოს ეროვნული სახელმწიფოებრიობა ხელს უწყობს არა მარტო ეროვნული კულტურის, საუკეთესო ეროვნული ტრადიციებისა და თავისებურებათა განვითარებას, არამედ იგი ამავე დროს სასარგებლოა სოციალიზმის მშენებლობის ინტერესებისათვის. ავტორი სრულიად მართებულად მიუთითებს, რომ მშრომელთა ეროვნული და ინტერნაციონალური ინტერესები არა თუ კამათრიკავენ ერთმანეთს, არამედ ერთმანეთს ავსებენ და ამდიდრებენ. ამიტომ სოციალიზმის დროს ეროვნული და ინტერნაციონალური ამოცანების სწორი შეხამება, სხვადასხვა ერების დაახლოება და თანამშრომლობა არის კანონზომიერი აუცილებლობა.

ეროვნული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ისტორიის ღრმად შესწავლის საფუძველზე წიგნში ნაჩვენებია, რომ საბჭოთა ეროვნული რესპუბლიკების მჭიდრო თანამშრომლობა ავითარებს და განამტკიცებს ყოველი ერის სუვერენულ უფლებებს, რომ სოციალიზმის მშენებლობის პროცესში ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების მატერიალური და სულიერი კულტურის აყვავების, ხალხის შემოქმედებითი უნარის ამაღლების დიდმნიშვნელოვან პირობას.

ავტორი საკითხის ღრმა ცოდნით გვიჩვენებს ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორიას და ამ ფედერაციის როლს ამიერკავკასიის ხალხთა შორის ახალი სოციალისტური ურთიერთობის დაწესებაში.

წიგნში დაწერილია ის, რაც უკვე ცნობილია ეროვნული სახელმწიფოებრიობის საფუძვლების ჩამოყალიბება აფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში. ამ რესპუბლიკებისა და ოლქის შექმნის მაგალითზე ანალიზი აქვს გაკეთებული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების უდიდეს მნიშვნელობას სოციალიზმის მშენებლობის ინტერესებისათვის.

ვ. მერკვილაძე ანალიზურად აშუქებს რევოლუციური კომიტეტების როლისა და მნიშვნელობის საკითხს. როგორც ცნობილია, ეს კომიტეტები საქართველოში 1921 წლის თებერვლიდან 1922 წლის დასაწყისამდე წარმოადგენდნენ პროლეტარიატის დიქტატურის ფორმით და საგანგებო ორგანოებს. ამასთან სამართლიანად აკრიტიკებს იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით რევკომები საქართველოში თითქოს წარმოადგენდნენ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმას.

შრომის დიდი ღირსება ის არის, რომ მასში მოცემულია საფუძვლიანი მეცნიერული კრიტიკა არა მარტო მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის შეხედულებებისა, არამედ ზოგიერთი საბჭოთა ავტორის მცდარი შეხედულებებისაც.

ავტორი აკრიტიკებს ყველა იმათ, რომლებიც ხელოვნურად, ადილობენ დაპირქარონ ერების შერწყმა და სწორად არ ესმით ან არა სურთ გაიგონ ერების ურთიერთდაახლოების არსი სოციალიზმის დროს. ავტორი გარკვევით გვიჩვენებს ამ მაგნ შეხედულებათა უსუსურობას, გვაძლევს ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარების სწორ მარქსისტულ შეფასებას.

მიუხედავად იმისა, რომ შრომა მიძღვნილია ეროვნული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საკითხისადმი, ავტორმა საჭირო იყო აღნიშნული საკითხის უფრო მჭიდროდ დაკავშირება სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების განვითარებასთან, სახალხო მეურნეობის ისტორიასთან.

წიგნი დაწერილია მდიდარი ფაქტური მასალების ღრმა მეცნიერული ანალიზით. მასში გამოქვეყნებულია მრავალი ახალი საბუთი და დოკუმენტი, რომლებიც აქამდე მეცნიერულ ლიტერატურაში არ ყოფილა მოხმობილი.

პროფესორ **ვ. მერკვილაძის** ნაშრომში „საბჭოთა სახელმწიფოებრიობის შექმნა და განმტკიცება საქართველოში" ყველა ძირითადი საკითხი გაშუქებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე. ამიტომაც იგი ჩვენი ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

ბ. ფელია.

რაიკომი და პარტიული ინფორმაცია

ხშირად, ძალიან ხშირად, როცა პარტიულ ინფორმაციაზე ჩამოვარდება ბომლეთ საუბარი, ეუბნებიან ხალხს ამბავიელებენ მის ორმხრივ ბასალებზე. სკკპ წესდება თვითეულ პარტიულ კომიტეტს, თვითეულ პარტიულ ორგანიზაციას ავალებს, რომ სისტემატური ინფორმაცია მიაწოდონ ზემდგომ პარტიულ ორგანოებს თავიანთი მუშაობის შესახებ. ამასთან ერთად, ქვემდგომი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები უნდა იღებდნენ ინფორმაციას ზემდგომი პარტიული ორგანოების საქმიანობის შესახებაც. ეს ჩვენი პარტიის ცხოვრების ნორმაა.

პარტიის ადიგენის რაიკომი, როგორც ხელმძღვანელობს ამ საკუთხებზე ბოლო ორ-სამ ოთხ-ოთხ ბიუროს ... ...

ბოლო მოეღოს აგრესიას!

პროგრესული კაცობრიობა გმობს ისრაელ აგრესორთა ბარბაროსობას

ულან-ბატორი. მონღოლი ხალხი გადაჭრით გმობს ახლო აღმოსავლეთში ისრაელ აგრესორთა დანაშაულებრივ მოქმედებას, ნათქვამია მონღოლეთის აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის კომიტეტის განცხადებაში, რომელიც გაზეთ „უენენში“ გამოქვეყნდა. მონღოლეთის საზოგადოებრივობა, აღნიშნულია განცხადებაში, მოითხოვს შეწყდეს ხისტლისლერა და გმობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტური წრეების პოლიტიკას, რომლებიც აქეზებენ და აკტიურად უჭერენ მხარს ტელ-ავივის მშვიდობის საქმისათვის ნაშიშ შეიარაღებულ პროვოკაციებს.

დარ-ეს-სალამი. ტანგანიკის მშრომელთა ეროვნული კავშირის ორგანო გაზეთი „მფანია კაზი“ სარედაქციო სტატიაში აღნიშნავს ამერიკის შეერთებული შტატების პასუხისმგებლობას ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის გაძლიერების გამო, ეგვიპტის აბუ-ზაბალის მეტალურგიული კომბინატის ბარბაროსული დაბომბვა „წინასწარ განზრახული დანაშაულია, ერთ-ერთი რგოლია ისრაელის პოლიტიკის ჯაჭვში, რომელსაც ტერორიზებული პყავს მშვიდობიანი არაბთა მოსახლეობა“. ისრაელის მოქმედება არაბთა წინააღმდეგ, აღნიშნავს „მფანია კაზი“, მოგვაგონებს ჰიტლერის დანაშაულს ევროპის ქვეყნებში, ბოლო ისრაელის ეგრეთ წოდებული „კოლექტიური შურისძიების“ ტაქტიკა იმეორებს ვიეტნამში ამერიკელ აგრესორთა ხერხებს.

პარიზი. საფრანგეთის კომპარტიის დელეგაცია ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს პარიზში და საელჩოს წარმომადგენელს გადასცა განცხადება, რომელშიც მტკიცე პროტესტს გამოთქვამს იმ მუდმივი დახმარების წინააღმდეგ, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მთავრობა უწევს ისრაელს. ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საშუალებას აძლევს ისრაელს გააგრძელოს ომი და დაპყრობილი ტერიტორიების ოკუპაცია.

ნიუ-იორკი. „არ შეიძლება უმოქმედოდ იყო იმ დროს, როცა ახლო აღმოსავლეთში ჩაფლდა ომი“, — განაცხადა საკრესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მსოფლიოს მშვიდობის საბჭოს წევრმა, გაზეთ „სან-ფრანცისკო სან რიპორტერის“ რედაქტორმა და გამომცემელმა კარლტონ გუდლეტმა. „მე ვფიქრობ, — თქვა მან, — რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს ღონისძიებანი, რათა შესრულდეს უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუცია“. (საკდესი).

ახალი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

4 მარტი

ტელეტაიპის ლენტიდან

ფაქტები

საჭიროა რეფორმა

● **ვაშინგტონი,** 4 მარტი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა კონგრესს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნავს, რომ „საჭიროა სასწრაფოდ“ განხორციელდეს ამერიკის სასკოლო განათლების სისტემის რეფორმა. წერილში ნათქვამია, რომ თანაბრად არ არიან მატერიალურად უზრუნველყოფილი სკოლები ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა რაიონში, მოსახლეობის ღარიბი და მდიდარი ფენების ბავშვებს განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა არა აქვთ.

გაიხსნა კულტურული ცენტრი

● **ნიკოზია,** 4 მარტი. (საკდესი). გუშინ აქ გაიხსნა საბჭოთა კულტურული ცენტრი. გახსნის ცერემონიას დაესწრნენ კვიპროსის მთავრობის წევრები, პარლამენტის დეპუტატები, კვიპროს-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივისტები, ქვეყნის საზოგადოებრივობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

საბჭოთა კულტურული ცენტრის გახსნას მიესალმა კვიპროს-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების თავმჯდომარე ჯ. ტალიადოროსი, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ კულტურული ცენტრი ხელს შეუწყობს კვიპროსელებს უკეთ გაიცნონ საბჭოთა კავშირი, „რომელიც კვიპროსელი ხალხის ყველაზე ხაიმედო მეგობარია“.

საერთაშორისო გამოფენა

● **პარაღა,** 4 მარტი. (საკდესი). პრაღაში გაიხსნა მეცნიერული ლიტერატურის მე-7 საერთაშორისო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია მრავალი ქვეყნის ასამდე გამომცემლობის სამნახევარი ათასზე მეტი დიდნაშვნელოვანი პუბლიკაცია. გამოფენა აქ ხაერთაშორისო ტრადიციად იქცა: იგი ეწყობა ყოველწლიურად 1964 წლიდან. გამოფენაზე ექსპონირებულია ცოფინის სხვადასხვა დარგის უახლესი მეცნიერული გამოცემანი.

შარშანდელზე უფრო ფართოდაა წარმოდგენილი საბჭოთა კავშირი. ეჭვს სტენდზე განლაგებულია „ნაუკას“, „ზნანიეს“ და სხვა გამომცემლობათა უკანასკნელი პუბლიკაციები. დამთვალიერებელნი გაეცნობიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის ხსრ კავშირში გამოშვებულ მრავალ მეცნიერულ გამოცემას.

ნაკელობენ საბჭოთა გამოცდილებას

● **დაკარი,** 4 მარტი. (საკდესი). აფრიკის ქვეყნებში უდიდესი ყურადღებით ეკიდებიან და სწავლობენ საბჭოთა გამოცდილებას ეკონომიკის მეცნიერული დაგეგმვის დარგში, რომელსაც დიდი სარგებლობა შეუქმნია მოუტანოს შათს განვითარებას. ეს განაცხადა დაკარის ეკონომიური განვითარებისა და დაგეგმვის ინსტიტუტის დირექტორმა დაკიდ კარნმ. ინსტიტუტი ამზადებს კვალიფიციურ ეკონომისტთა კადრებს აფრიკის მთელი რიგი ქვეყნებისათვის.

ხსრ კავშირის წინათ ჩამორჩენილი ეროვნული განაპირა მხარეებისა და ცალკეული ხალრეწველო კომპლექსების ეკონომიკის დაგეგმვის საკითხების სწორად გადაჭრა უდავოდ მეტად საინტერესოა აფრიკელი ეკონომისტებისათვის, თქვა დარ

ეს. 2 გვ.

აიკრძალოს ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღი

ჟენევა, 3 მარტი, (საკდესი). ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის მთლიანად აკრძალვისა და მოსპობის პრობლემის გადაჭრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ კაცობრობა ვიხსნათ ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ომის საშინელებისაგან, ამავე დროს ეს წინ წასწევს მთლიანად განიარაღების საქმეს, განაცხადა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა განიარაღების კომიტეტში ა. ა. როშჩინმა. იგი დღეს გამოვიდა უენევის ერთა სასახლეში კომიტეტის მორიგ სხდომაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე ქიმიური და ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) იარაღის შეჩერშაკების, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და მისი მოსპობის კონვენციის პროექტის განხილვამ, რომელიც სოციალისტურმა ქვეყნებმა წარმოადგინეს, აღნიშნა ა. ა. როშჩინმა, გვიჩვენა, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა ეთანხმება სოციალისტურ ქვეყნებს, რომლებიც წინადადებას იძლევიან ერთდროულად აკრძალოს როგორც ქიმიური, ისე ბაქტერიოლოგიური იარაღი.

ამ წინადადებას, კერძოდ, მხარი დაუჭერეს ინდოეთის, ნიგერიის, ბრაზილიის, ეთიოპიისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

სხდომაზე გამოსულმა პოლგარეთის დელეგაციის მეთაურმა ქ. ხრისტოვმა გამოთქვა იმედი, რომ კომიტეტში ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის აბოლოდ აკრძალვის საკითხი ხელშეკრულების დადებით, რომელიც სამუდამოდ გამორიცხავს ამ სახეობათა იარაღის წაროებას, გამოკვლევასა და დაგროვებას.

ეგვიპტეს წარმომადგენელმა კარლოს ორტის დე როსასმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა რაც შეიძლება სწრაფად განახილონ კომიტეტში საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხი.

ამერიკის შეერთებული შტატები

პომპიდუს ვიზიტი დამთავრდა

ნიუ-იორკი. 4 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ე. ეგოროვი გვატყობინებს:

გუშინ ნიუ-იორკიდან პარიზს გაფრინდა საფრანგეთის პრეზიდენტი ჟ. პომპიდუ. გამგზავრებას წინ პრესას, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე პომპიდუმ თქმა განაცხადა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტით „კმაყოფილი ვარო“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ დაუფარავს იმედგაცრუება საფრანგეთის საწინააღმდეგო უამრავი დემონსტრაციის გამო, რომლებიც ამერიკელმა სტუდენტებმა მოაწყვეს. მან განსაკუთრებული უკმაყოფილება გამოთქვა ჩიკაგოელ ხელისუფალთა პოზიციის გამო, რომლებმაც საშუალება მისცეს სტუდენტებს დაუბრკოლებლად შეურაცხეყოფა საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაური. ჩიკაგოს მერმა დეიღემ განაცხადა, საჭიროდ არ მიმაჩნია რაიმე ბოდიშის მოხდაო.

პომპიდუმ განმარტა ბგრეთვე საფრანგეთის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის მიმართ.

მისი აზრით, ისრაელისა და არაბული ქვეყნების პირდაპირ მოლაპარაკებას, რასაც დაჟინებით მოითხოვს ისრაელი, შეთანხმება ვერ მოუტანს. ეს ეყო ჟ. პომპიდუს პირველი მოგზაურობა ოკეანეს გაღმა მას შემდეგ, რაც იგი საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე აირჩიეს. მისი ვიზიტის დროს საინფორმაციო და პროპაგანდისტულ ორგანოებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ ფიქრობენ ამ ფაქტზე, — ეს ეყო ჟ. პომპიდუს პირველი მოგზაურობა ოკეანეს გაღმა მას შემდეგ, რაც იგი საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე აირჩიეს. მისი ვიზიტის დროს საინფორმაციო და პროპაგანდისტულ ორგანოებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ ფიქრობენ ამ ფაქტზე, — ეს ეყო ჟ. პომპიდუს პირველი მოგზაურობა ოკეანეს გაღმა მას შემდეგ, რაც იგი საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე აირჩიეს. მისი ვიზიტის დროს საინფორმაციო და პროპაგანდისტულ ორგანოებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ ფიქრობენ ამ ფაქტზე, — ეს ეყო ჟ. პომპიდუს პირველი მოგზაურობა ოკეანეს გაღმა მას შემდეგ, რაც იგი საფრანგეთის

ალვირაცხსნილი კამპანია

ნიუ-იორკი. 3 მარტი. საკდესის კორესპონდენტი ე. ბასკაკოვი გვატყობინებს:

საფრანგეთის პრეზიდენტის ჟ. პომპიდუს ყოფნას ამერიკის შეერთებულ შტატებში თან ახლავს საფრანგეთის საწინააღმდეგო ალვირაცხსნილი კამპანია, რომელსაც სიონისტური წრეები აწყობენ. ნიუ-იორკში — პრეზიდენტის ოფიციალური ვიზიტის საბოლოო ეტაპზე — სიონისტთა დემონსტრაციები მთელ დღეს მიმდინარეობდა უშუალოდ იმ ადგილების ახლოს, რომლებსაც საფრანგეთის პრეზიდენტი ეწვია.

პროგრამის შესაბამისად ჟ. პომპიდუ შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მუდმივ წარმომადგენლებს. ახლო აღმოსავლეთის საკითხზე მოლაპარაკების მონაწილეებს, შემდეგ შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ თანს.

როგორც ამერიკის პრესა იუწყება, ჯერ კიდევ 1 მარტს ჩიკაგოში საფრანგეთის საწინააღმდეგო დემონსტრაციის მონაწილეთა გამომწვევი საქციელისა და ადგილობრივი პოლიციის ამკარა უმოქმედობის შემდეგ ჟ. პომპიდუმ განიხილა ნიუ-იორკში მისი ვიზიტის შესაძლო გაუქმებისა და საფრანგეთში ვიდამდე დაბრუნების საკითხი.

ამჟამად შიშობდა რა დიპლომატიური სკანდალის გამო, თეთრმა სახლმა ბიმართა უმრეცდენტო ღონისძიებებს. როგორც ამერიკის საინფორმაციო საგენტოები იუწყებიან, ორ მარტს დილით ამერიკის შეერთებული შტატების ბრეზიდენტმა რ. ნიქსონმა დაურეკა ჟ. პომპიდუს და „ბოდიში მოუხადა დემონსტრანტთა უდიერი საქციელის გამო“. საღამოს რ. ნიქსონი გაემგზავრა ვაშინგტონიდან ნიუ-იორკში, რომ პირადად დასწრებოდა „უოლდორფ-ასტორიის“ ოტელში ჟ. პომპიდუს პატივსაცემად გამართულ სადილს.

მიუხედავად ამისა გუშინ საღამოსაც ოთხი ათასამდე სიონისტმა დემონსტრაცია მოაწყო „უოლდოლფ-ასტორიის“ მახლობლად და გაიძახოდა საფრანგეთის შეურაცხყოფელ ლოზუნგებს. ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ნ. როკფელერმა და ქალაქის მერმა ჯ. ლინდსეიმ დემონსტრაციულად უგულებელყვეს სადილი, რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტი ესწრებოდა.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ პრეზიდენტმა ჟ. პომპიდუმ უკანასკნელ ზომებიც მიიმართა ამერიკის შეერთებული შტატების ეგრეთწოდებულ ორგანიზაციების ლიდერებთან დასახული შეხვედრა.

ბოლონეთი. ოლშტინის ხავოევოდოში მაზურის გაყინულ გუბურებსა და ტბებზე გაჩაღებულია ლერწმის აღება. ლერწმის ფართოდ იყენებენ როგორც ხაიზოლაციო მასალას მშენებლობაში, ხალმობად, სახალხო ოსტატები მისგან წნავენ ქალის მოდურ ჩანთებს, კალათებს, ამაყურებს.

ფოტო: ზამთრის მოსავლის აღება.

ფოტო ტასს-საკდესისგ.

ავსტრია

იქმნება ახალი მთავრობა

ვენა, 3 მარტი. (საკდესი). დღეს ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურმა პრეზიდენტმა ფ. ონანსმა მიიღო ავსტრიის სოციალისტური პარტიის თავმჯდომარე ბ. კრეისკი და დაავალა ახალი მთავრობის შექმნა.

1 მარტს გამართულ პარლამენტის არჩევნებზე ავსტრიის სოციალისტურ პარტიას ხმა მისცა ყველაზე მეტმა ამომრჩეველმა და ომის შემდგომ პერიოდში პირველად ეჭვნება ახლა ყველაზე დიდი ფრაქცია პარლამენტში.

ბონი

საუბარი ბერლინში

ბერლინი, 3 მარტი. (საკდესი). როგორც ადნის საბაგენტო ეუწყება, დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილე გერჰარდ შიუსლერი და მინისტერიალ-დირექტორი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის უწყებაში ულრიხ ზამი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ბერლინში. მათ განიხილეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვილი შტოფისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ვილი ბრანდტის შეხვედრის ტექნიკური და სოციმო საკითხები. ეს შეხვედრა შესთავაზა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ.

გ. შიუსლერისა და უ. ზამის საუბარი გაგრძელდება 5 მარტს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახლში.

იტალია

ჯ. მოროს დაკვალება

რომი, 3 მარტი. (საკდესი). იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჯ. სარაგატმა დღეს მიიღო საგარეო საქმეთა მინისტრი ალდო მორო და დაავალა მას „საჭირო კონტაქტები დაამყაროს ახალი მთავრობის ჩამოსაყალიბებლად“, ამასთან სთხოვა, რაც შეიძლება სწრაფად აცნობოს თავისი მოხსენება შედეგები.

ბონი

„შივ სენის“ თარეში

ინდოეთი

დელი, 3 მარტი. (საკდესი). ინდოეთის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში მრავალმილიონიან ბომბეიში არეულობა. ულტრაშოვინისტური ორგანიზაციის „შივ სენის“ („შივაჯის არმია“), ვიეშაბომბები თავიანთი მეთაურის ბალა თაკერეს მოწოდებისამებრ ტერორს მიმართავენ მოსახლეობის წინააღმდეგ და ბომბეი „უდაბურ ქალაქად“ გადააქციეს.

ასეთ კამპანიებს, რომლებიც ხშირად სისტემატიზებულ თარეშად იქცეს, პირველად როდი აწყობენ შივსენელები. ამ თარეშის სამაბი, ის არის, რომ ინდოეთის მთავრობა არ ასრულებს „შივ სენის“ ანტიკონსტიტუციურ მოთხოვნებს დაუყოვნებლივ შეუერთონ შაჰარაშტრის შტატს (მისი დედაქალაქი ბომბეი) მეზობელი მაისურის შტატის ან ტერიტორიები, სადაც მარათებები ცხოვრობენ და ბომბეიდან გასასხლონ ყველა არამარათები.

მეთოდები, რომლებითაც „შივაჯის არმია“ ცდილობს თავისი რეაქციული მოთხოვნების განხორციელებას, მეკვრმტრიალურად შეიძლება დავახასიათოთ ასეთი ციფრებით: შეკვსენელთა შარშანდელი თებერვლის დროს ბომბეის მოუვიდა მილიონობით რუპიის ზარალი, დაზოგეს ასამდე კაცი.

ადგილობრივი კომენტატორები, რომლებიც აშუქებენ ბომბეის ახლანდელ ამბებს, აღნიშნავენ, რომ ეს ამბები წარმოადგენენ როდი დაემთხვა (ცენტრალური პარლამენტის სამეოჯერო სესიას. ინდოეთის მონოპოლისტურმა წრეებმა, რომლებიც უხვად აფინანსებენ „შივ სენს“ ბრძოლაში „მოძარეის“ ფორმით. ეკონომიური ჯაშუშობა დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს მოდელების ხახლებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ „დიდი მოდის ეჭვს დღეს“ „ელვისებურ ომს“ უწოდებენ.

დაგრძელებენ თუ არა? — ეი მთავრი ქალი, რომლითაც ერთმანეთს ეიმართავდნენ მოდელის მოცვარულნი 1970 წლის გაზაფხულ-ზაფხულის მოდელების ჩვენების დაწყების წინ. რა თქმა უნდა, ლაპარაკია ქვედატანის ხიგრძეზე. პარიზელმა მოდელიერებმა ამ კითხვას ნათელი და ამომწურავი პასუხი გასცეს.

„დიდი მოდის ეჭვი“ გახსნა ფილიპ ვენემ. მან წარმოიდგინა ძალიან სახალხო კომბინეტები, როგორიცაა მომარაგების, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის კომიტეტები. ანთავიანებული რაიონებში მართვის ყველა ორგანოს საქმიანობის მიზანია უზრუნველყოს პარტიზანთა წარმატებითი მოქმედება, უზრუნველყოს ანთავიანებულ პარტიზანთა ბრძოლის საჭიროებანი.

დასასრულ დიუ სანტუშმა განაცხადა, რომ ფრელიმოს განკარგულებაშია 10.000 ჯარისკაცი და ეს რიცხვი შესაძლოა ერთიორად გაიზარდოს.

მან ბაზი გაუსვა, რომ ფრელიმოს ეხმარებიან იფრიკის ქვეყნები და სოციალისტური ქვეყნები. ეს დახმარება, განაცხადა მან, ვიეტნამიკის ჩვენი გამარჯვების მტკიცე რწმენას.

ეგვიპტე

მეფე ჰუსეინის ინტერვიუ

ნიუ-იორკი, 4 მარტი. (საკდესი). ახლოშეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში იორდანიის მეფე ჰუსეინმა გამოთქვა შიში ომასთან დაკავშირებით, რომ ახლო აღმოსავლეთში მატულობს დაძაბულობა ისრაელის მმართველი წრეების მოქმედების გამო. ჰუსეინმა ხასტიკად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის მიმართ, კერძოდ დაგმო ის რომ ამერიკა სულ უფრო მეტი რაოდენობით აწვდის იარაღს ისრაელს.

უცხოეთის კრესიდან

ჯიჯი ეოჯის ექვსი ჯერ

პარიზი ოდითგანვე ითვლება მოდების კანონმდებლად. მისი ხახელგანთქმული მოდელების ხახლები ნამდვილი „ოდების ლაბორატორიებია“ და კარგად არის ცნობილი მთელ მსოფლიოში. ტრადიციულად გაზაფხულ-ზაფხულის ტანსაცმლის მოდელების ჩვენება ზამთარში ხდება. მას „დიდი მოდის ეჭვი დღეს“ უწოდებენ. საფრანგეთის ხახელმოძღვანელი მოდელიერები ურჩევნებენ თავიანთ უახლეს მოდელებს, რომლებიც ატელიეებში თითქმის ხამხეფრო ხაიდუმლოების პირობებში იქმნებოდა. ახალი მოდელების „მოძარეის“ ფორმით ეკონომიური ჯაშუშობა დიდ მატერიალურ ზარალს აყენებს მოდელების ხახლებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ „დიდი მოდის ეჭვს დღეს“ „ელვისებურ ომს“ უწოდებენ.

ადგილობრივი ეკონომიკურ ინსტიტუტი ეწეოდა ეროვნული ეკონომიკის, ტრანსპორტის, ფინანსების, ადგილობრივ ინდუსტრიის, ადგილობრივ ინფრასტრუქტურის, ადგილობრივ ინფორმაციის, ადგილობრივ ინფორმაციის, ადგილობრივ ინფორმაცი

ერის შვილი



დიმიტრი ბაქრაძის გარდაცვალების 80 წლისთავის გამო

ქართული ისტორიული მეცნიერების ახალი აღმავლობა XIX საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე თეიმურაზ ერისთავი გამოვიდნენ. ეს იყო ხანა დიდი სოციალ-ეკონომიური და იდეოლოგიური ძვრებისა. საქართველოს ცხოვრებაში შემოჭრილმა ახალმა, ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ ახალი ამოცანები დააყენა ქვეყნის წინაშე; ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა გაღრმავდა და ახალ საფეხურზე ავიდა, გარდატეხა მოხდა ქართულ საისტორიო აზროვნებაშიც.

ახალი ქართული საისტორიო მეცნიერების პირველი დიდი წარმომადგენელი იყო ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დიმიტრი ბაქრაძე (1826-1890 წწ.).

დიმიტრი ბაქრაძე სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე 50-იან წლებში გამოვიდა. მან თავისი ცხოვრების მიზნად სამშობლოს სამსახური, ხოლო მოღვაწეობის მთავარ საგნად საქართველოს ისტორიის შესწავლა დაისახა. მისი პირველი წერილი — „სურათები საქართველოს ცხოვრებიდან" 1850 წელს გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნდა. აღნიშნული სტატიის გრეული ვარიანტი 1851 წელს ჟურნალ „სოფრომენიკში" დაიბეჭდა. აქედან მოყოლებული 40 წლის განმავლობაში იგი დაუღალავად ემსახურებოდა ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეს.

დ. ბაქრაძის ისტორიული შეხედულებანი და მისი დამოკიდებულება კლასობრივი საზოგადოებისადმი განსაკუთრებით კარგად ჩანს ნაშრომში: „ისტორიული მოძრაობა განათლებისა", რამელიც რამდენიმე სტატიად გამოქვეყნდა 1866 წელს გაზეთ „დროებაში".

ქართულ ისტორიოგრაფიაში დ. ბაქრაძემ პირველმა აღიარა ხალხის ისტორიის შესწავლის საჭიროება. ჯერ კიდევ 1866 წელს იგი წერდა: „ჩვენი წინაპრები თავიანთ მოთხრობაში გვიამბობდნენ მხოლოდ ომიანობას, ჩამოსთვლიდნენ დინასტიებს... ხალხის ცხოვრების წარმოდგენა საჭიროდ არ მიაჩნდათ. ასე იყო როგორც ჩვენს ქვეყანაში. აგრეთვე მთელს ევროპაში".

ისტორიული წყაროების მეცნიერული კრიტიკა დ. ბაქრაძემ ახალ საფეხურზე აიყვანა. გამოავლინა დიდძალი ახალი ფაქტიური მასალა, რომლითაც გაამდიდრა მეცნიერება. იგი წყაროებსა და ლიტერატურას იყენებდა არა მარტო ქართულ და რუსულ ენებზე, არამედ ლათინურ, ბერძნულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზეც. საისტორიო მასალად გარდა წერილობითი წყაროებისა ფართოდ გამოიყენა ეპიგრაფიკული, ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, დიპლომატიკური და სხვა მასალა. მარჯვედ იყენებდა ისტორიული გეოგრაფიისა და მატერიალური კულტურის ძეგლების მონაცემებს.

დ. ბაქრაძემ თავიდანვე მიზნად დაისახა შეექმნა საქართველოს ისტორიის სასელმძღვანელო. მან ამ მიზნით ფართო მოსამზადებელი მუშაობა გასწია, იმოგზაურა სვანეთში, გურიაში, ჭარაში. თურქეთის მიერ მიტაცებულ საქართველოს სამხრეთ პროვინციებში, სადაც გამოავლინა ახალი ეპიგრაფიკული, არქეოლოგიური და დიპლომატიკური მასალა. ამ მასალების საფუძველზე დ. ბაქრაძემ შექმნა პირველხარისხოვანი ნაშრომები: „სვანეთი", „კავკასიის ძველი ქრისტიანული ძეგლები", „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში". განსაკუთრებით საყურადღებოა უკანასკნელი ნაშრომი, რომელშიც ავტორმა გაარკვია აჭარის და გურიის სოციალურ-ეკონომიური და კულტურის ისტორიის მრავალი საკითხი. ამ ნაშრომმა, რომელიც რუსეთის აკადემიამ გამოსცა, ავტორს დიდი აღიარება მოუტანა — იგი აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს.

დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე დ. ბაქრაძის ნაშრომი „თურქული მიწათმფლობელობის სისტემის ისტორიული მიმოხილვა". ავტორმა მასში გააერკვია თურქეთის ბატონობაში მყოფი ქართული პროვინციების მიწათმფლობელობის საკითხები და მრავალი საინტერესო დებულება გამოთქვა.

მეცნიერმა მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო აგრეთვე „ქართლის ცხოვრების" შესწავლას. მან პირველმა საფუძვლიანად უარყო იმ დროს გავრცელებული მცდარი შეხედულება, რომლის მიხედვით „ქართლის ცხოვრება" ვახტანგ VI-ის დროს შედგენილად მიაჩნდათ, მან პირველმა მიუთითა, რომ ეს კრებული „ჟამითი უამად" და სხვადასხვა ავტორის მიერ იწერებოდა. ამ საკითხის გარკვევა მას გაუადვილა მის მიერვე აღმოჩენილმა მარიამ დედოფლისეულმა „ქართლის ცხოვრებამ" (17 ს. ხელნაწერი).

სრულიად ახალი სიტყვა იყო დ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსი" (უძველესი დროიდან X საუკუნემდე), რომელიც 1889 წელს გამოსცა. მან პირველმა უარყო „ქართლის ცხოვრების" ტრადიციული სქემა და საქართველოს ისტორია ახლებურად გამარა.

დ. ბაქრაძისა და მისი კოლეგების მეცნიერული მუშაობის დიდი აღიარება იყო რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის მოწვევა თბილისში 1881 წელს. ეს საქმეც დ. ბაქრაძის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით განსორციელდა. დ. ბაქრაძე ყრილობაზე ენისა და წერილობითი ძეგლების განყოფილებას თავმჯდომარეობდა. მან ამ ყრილობაზე წაიკითხა უაღრესად საინტერესო მოხსენება „ქართული პალეოგრაფია", რითაც საფუძველი ჩაუყარა ისტორიული მეცნიერების ამ დარგს.

დ. ბაქრაძე გარდაიცვალა 1890 წლის 10 თებერვალს (ძვ. სტილით). მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო იმდროინდელი ქართული მოწინავე საზოგადოებისათვის, რომელმაც გულმხურვალედ დატირა თავისი საამაყო შვილი.

დიდმა ილიამ თავის თანამებრძოლს, რომელიც დიდუბის პანთეონში განისვენებს, გვარგვინი მიართვა წარწერით:

„საფლავი შენისთანა კაცისა საღოცავია მამულისა".

მადლიერი ქართველი ხალხი დღესაც დიდი პატივისცემით იგონებს თავისი ღირსეული შვილის სახელს.

გ. ჯამბურია,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.



● **ᲣᲩᲘᲕᲔᲣᲚᲝᲓ** ადრე, გაიშალა წელს ყვავილები ხეხილის ხეებზე აჭარის ბაღებში. ყვავის ტყემალი, ქლიავი, მსხალი, ყვავილებით დაიფარა ატმის ხეები. კოლმეურნეები აგროტექნიკით გათვალისწინებულ ყველა სამუშაოებს მოკლე ვადებში ასრულებენ. წელს აჭარაში დაამზადებენ 7.900 ტონა ციტრუსოვან და კურკოვან ხილს, 1.000 ტონით მეტს, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული. **სურათზე:** ბათუმის რაიონის სოფელ ფერიას კოლმეურნეობის ბაღებში მსხალი აყვავდა.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქმდესის ფოტოქრონიკა)

● **ᲩᲕᲔᲜᲘ** რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიულ ცენტრში — ქუთაისში დამთავრდა ღია საცურაო აუზის მშენებლობა. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის საზეიმო დღეებში ახალ აუზში ჩატარდება რესპუბლიკის პირველობა წყალბურთში. ქუთაისის ახალ საცურაო აუზს აქვს სამი ღია განყოფილება გამთბარი წყლით, ერთმეტრიანი, სამმეტრიანი ტრამპლინები და ათმეტრიანი კოშკური, რაც შესაძლებლობას იძლევა ჩატარდეს წვრთნა და შეჯიბრება წყალში ხტომაში. **სურათზე:** ღია საცურაო აუზის ხედი.

ფოტო ბ. ბერსამიასი. (საქმდესის ფოტოქრონიკა).

დამაჯებით ხუთ წუთში...

კალათბურთელთა თბილისის ტურის ნახევარმა განვლო. დღეს ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებენ, ბრძოლა ხვალ განახლდება. ვინ არიან საპრიზო ადგილების მთავარი პრეტენდენტები?

ცსკა, „ყალგარისი", „სტროიტელი", „სპარტაკი", „კალევი" — ეი ის ხუთეული, სადაც უნდა გაწაწილდეს მედლების „კომპლექტი". ამ ხუთეულიდან პირველ რიგში უნდა გამოვყოთ გასული წლის ჩემპიონი — არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ჩინებული ოსტატები.

ახლა მოკლედ გუშინდელ შეხვედრებზე. „ყალგარისის" დამარცხებამ კიევის სკა-სთან კაუნასელთა სატურნირო პოზიცია ერთგვაროვად შეარყია. ამიტომ ისინი დაკარგულის ანაზღაურებას მომდევნო ტურებში ცდილობენ. „ყალგარისის" გუშინდელი მეტოქე დიდი ტრადიციის გუნდი — რიგის „სკა" იყო. მართალია, რიგელები მიმდინარე ჩემპიონატში ბევრი ვერაფერით ბრწყინავენ, მაგრამ კაუნასელებს მაინც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, თუმცა დამარცხებას (71:79) მაინც ვერ გადაურჩნენ.

არც კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდს დაადგა კარგი დღე ოუტსაიდერთან — ალმა-ათა „ლოკომოტივთან" შეხვედრაში. იყო გარკვეული მომენტი, როდესაც ლოკომოტიველებს შეეძლოთ ბრძოლაში გარდატეხის შეტანა და წარმატებისათვის ზრუნვა, მაგრამ მათ ნერვიულობა უმტკივნეულ, წაგეს თამაში სამი ქულის სხვაობით — 62:65.

მოულოდნელობას არც მოსკოვის „დინამოსა" და სვერდლოვსკის „ურალმაშის" მატჩში ჰქონია ადგილი. სვერდლოვსკელებს, რომლებმაც მთელი თავიანთი ძალები წინადღით თბილისის „დინამოსთან" ყაყანობაში ჩაქაფსოვეს, ამჯერად გამძლეობა არ იყოთ და დამარცხდნენ 82:104.

რა თქმა უნდა, ამ დღის ცენტრალური სასპორტო ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლების სსრ კავშირის ჩემპიონის ცსკა-სა და ლენინგრადის „სპარტაკის" შეხვედრა იყო. დასაწყისში სპარტაკელებმა ოთხ ქულაზე მეტი ანგარიში ვერ ვერ ... ...